



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №14

2016 წლის 28 აპრილი

ქ. ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 სექტემბრის № 35 დადგენილებით (ვებ-გვერდი www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი 06/10/2014; სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.138.016162) დამტკიცებულ დანართში:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ხაზობრივი ნაგებობისათვის გადასახადის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი კლასიფიკაციის მიხედვით:

ბ.ა) ხაზობრივი ნაგებობებისათვის (რკინიგზა, წყალსადენი, ნავთობსადენი, გაზსადენი, ელ. გადაცემის ხაზები, კავშირგაბმულობის ხაზი, არხები და სხვა) - ერთგრივ მეტრზე 0,80 ლარი;

ბ.ბ) წყალარინები-0,80 ლარი “.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე